ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N160

2015 წლის 29 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №65 განკარგულებით დამტკიცებული ,,შპს „ომეგა გაზი"-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №65 განკარგულებით დამტკიცებული ,,შპს „ომეგა გაზი"-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ", პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

,,1. მიეცეს თანხმობა შპს „ომეგა გაზს" თანდართული სქემების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათის მხრიდან საშუალო წნევისა და მაღალი წნევის გაზსადენის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.".

,,2. შპს „ომეგა გაზმა" უზრუნველყოს საშუალო წნევისა და 25 მეტრიანი მაღალი წნევის გაზსადენის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.".

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

სიტუაციური რუკა
«ჩელე არენა»
საავადმყოფო
ფოთი
დ. აღმაშენებლის გაზ.
რუსთაველის ქ.
ოზურგეთი
ჯაიანი
ჯინჯიხა
ჯაიანიშვილის ქ.
მეგობრობის ქ.
საპროექტო გაზგასამართი სადგური
ხუცუბანი
მდ. აჭყვა
რეფერალური საავადმყოფო
მდ. კინტრიში
მდ. კინტრიში
საშუალო წნევის გაზსადენი
მდ. ჯინჯიხა
მდ.დეხვა
მესხიძის ქუჩა
ალექსიშვილის ქ.
ბ. აბაშიძის ქ.
ჩხეიძის ქ.
გგს
ბათუმი
ჭყონდიდა
მაღალი წნევის გაზსადენი 25 გრძ/მ
ცენტრალური მაგისტრალი
ცენტრალური მაგისტრალი
საშუალო წნევის გაზსადენი
მაღალი წნევის გაზსადენი
გგს
20.42.08.162 ტერიტორია
გაზგასამართი სადგურისთვის
ციხისძირი
ბობოყვათი